საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ლეხურის განძი

ლეხურის განძი, ოქროს მონეტების (23 ც.) განძი. ნაპოვნია 1947 მდ. ლეხურის (მდ. მტკვრის მარცხ. შენაკადი) ხეობაში. განძი შეიცავდა 13 ვენეციურ დუკატს, 8 ალთუნს და 2 ნახევარაშრეფს. ვენეციური დუკატები მოჭრილია შემდეგი დოჟების სახელით: ფრანჩესკო ფოსკარი (1423–57), პასკუალე მალპიერო (1457–62), ქრისტოფორო მორო (1462–71), ანდრეა გრიტო (1523–39), პიეტრო ლანდო (1539–45). ალთუნები ოსმალეთის სულთან სულეიმან I-ის (1520–66) (8 ც.), ნახევარაშრაფები კი – სეფიანი შაჰის, თაჰმასპ (თამაზ) I-ის (1524–76) სახელს ატარებს. ვენეციური დუკატის აღწერილობა ასეთია: ავერსი – მონეტის ცენტრში ვენეციის მფარველის, წმ. მარკოზის ფიგურაა, რ-იც მუხლმოყრილ დოჟს გადასცემს ძალაუფლების სიმბოლოს – ალამს. გამოსახულების გარშემო ლათინური წარწერაა: „ფრანჩესკო ფოსკარი წმინდა მარკოზი ვენეციის“; რევერსზე ოვალში კი იესო ქრისტეს გამოსახულებაა, ირგვლივ ლათინური წარწერით: „ქრისტე! საჰერცოგო, რომელსაც განაგებ, დაე გებოძოს შენ“.

თურქეთის სულთან სულეიმან I-ის ალთუნის ავერსზე ექვსსტრიქონიანი არაბული ზედწერილია – „სულეიმანი/სულთან შაჰი/დიდებული, გამარჯვებული/სელიმ შაჰისა მოიჭრა/კონსტანტინიაში/926 წელს“ (1519/20); რევერსზე კი ოთხ სტრიქონად წერია – „მოიჭრა ბრწყინვალე/ მბრძანებლის, ძლევამოსილის, გამარჯვებულის /ხმელეთსა/ და ზღვაზე“.

სეფიანი შაჰის თაჰმასპ I-ის ნახევარაშრაფი: ავერსზე შიიტური სარწმუნოებრივი სიმბოლო იკითხება („არ არის ღმერთი გარდა ალაჰისა, მუჰამედი ალაჰის მოციქული, ალი მისი თანამზრახველი“), ირგვლივ კი – 12 იმამის სახელი; რევერსზე, ოთხკუთხა ჩარჩოში, არაბულად აღნიშნულია მოჭრის ადგილი და თარიღი – ჰ. 900–1548/49.

ლიტ.: დ უ ნ დ უ ა გ., ჯ ა ლ ა ღ ა ნ ი ა ი., ქართული ნუმიზმატიკური ლექსიკონი, თბ., 2009; ქ ე ბ უ ლ ა ძ ე რ., საქართველოში ვენეციური დუკატების მიმოქცევის საკითხისათვის, «მაცნე», 1969, №4; მ ი ს ი ვ ე , ევროპული მონეტების მიმოქცევა საქართველოში, XV–XVIII საუკუნეები, თბ., 1971; А н т а д з е М. Г., К е б у л а д з е Р. В., Клад из золотых монет из Лехурского ущелья, „Нумизматика и этнографика“, 1971, т. 9; К у т е л и я Т. С., Грузия и Сепевидский Иран, Тб., 1979.